საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გარემოსდაცვით სფეროში აღებულ ვალდებულებებზე ქალთა ინფორმირებულობის და ჩართულობის მონიტორინგი ბათუმის, ქობულეთის, ზუგდიდის, ფოთის მუნიციპალიტეტებში ,ყურადღების გამახვილებით COVID-19 პანდემიის პირობებში.

საერთაშორისო ფონდი "ლეა"
ავტორი: მარინე სოლომონიშვილი

რეზიუმე

2020 წელს , ფონდის „კავკასიის ეკოლოგია" კოორდინაციით განხორციელდა პროექტი „ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების (WFD, MSFD, ბიომრავალფეროვნება), ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში COVID-19 პანდემიის პირობებში. საერთაშორისო ფონდმა "ლეა"-მ, როგორც თანააპლიკანტმა ორგანიზაციამ, მონაწილეობა მიიღო პროექტში, რომლის ფარგლებშიც მისი ფუნქცია იყო განეხორციელებინა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გარემოსდაცვით და გენდერის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი საქართველოს მუნიციპალიტეტებში (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი). ნაშრომში განხილულია ასოცირების შეთანხმებით აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისას მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით ქალთა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობასთან არსებული გამოწვევები, ქალთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები COVID-19 პანდემიის პირობებში. ამასთანავე, ნაშრომში აღწერილია ქალთა თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტისას და წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით . მოძიებული მასალის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი, გაკეთდა ანალიზი, დასკვნები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები ქალთა მონაწილეობის და არსებული გამოწვევების გასაუმჯობესებლად.

Resume

The project : “Monitoring of the Implementation of Obligations of Framework Directives (WFD, MSFD, Biodiversity), Use of Energy Resources and Climate Change Mitigation taken under the Association Agreement in the Municipalities of Western Georgia in COVID-19 Conditions”, was coordinated by the Caucasus Ecology Foundation.

The International Foundation LEA, as a co-applicant organization, participated in the project, in the framework of which its function was to carry out monitoring the implementation of the commitments made in the field of environment and gender issues in the framework of the Georgia-EU Association Agreement in the municipalities of Georgia (Batumi, Kobuleti, Poti, Zugdidi). We analyzed the issue of access to information for vulnerable groups, especially women, in fulfilling environmental obligations under the Association Agreement, Challenges of women's involvement in decision-making, Including women's access to water and energy, women's rights and health issues in the context of the COVID-19 pandemic. Based on the sought subjects there was held monitoring , were made the analysis, conclusion and worked out relevant recommendations for improving women's involvement in decision-making of all issues were developed.

შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული და 2014 წელს ამოქმედებული ასოცირების შესახებ შეთანხმება ქვეყანას მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს. მიმდინარე ეტაპზე ნაკისრი ვალდებულებების ძირითადი განმახორციელებელი ინსტრუმენტია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის, რომელიც მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებულ კონკრეტულ პრიორიტეტებს , შესაბამისად მიმდინარეობს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან. მართალია, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დღის წესრიგის განხორციელების კუთხით, მაგრამ არის საკითხები რომელთა ინტენსიფიკაცია და დანერგვა მნიშვნელოვანია. ასოცირების შეთანხმების VI თავი მხარეებს ავალდებულებს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, გარემოსდაცვითი მიმართულებით და გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელებას.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს კანონი წყლის შესახებ, რომელიც მიღებულია 1997 წელს და, ბუნებრივია, მასში არ არის გათვალისწინებული ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს წყლის ევროპულ კანონმდებლობას. 2014 წლიდან საქართველოს მთავრობამ გააქტიურა საქმიანობა საქართველოს წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონმდებლობის შეცვლის მიმართულებით, რათა შეასრულოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. 2020წელს დაგეგმილია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება. ამავდროულად, ახალი კანონმდებლობის განხილვისა და რეკომენდაციების

შემუშავებისას ნაკლებადაა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ქალთა მონაწილეობა, რათა გათვალისწინებული იყოს გენდერული საკითხების ჩართვა წყლის რესურსების მართვის პროცესში.

2017-2020წ.წ. ასოცირების დღის წესრიგში გენდერული მიმართულებით ძირითადი აქცენტი კეთდება ძალადობის წინააღმდეგ ზომების მიღების თვალსაზრისით. ამ სფეროში გაძლიერდა კანონის აღსრულების მექანიზმები, მიმდინარეობს პოლიციაში ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები,ძალადობის მსხვერპლთათვის გაჩნდა საკონსულტაციო მომსახურება და შეიქმნა თავშესაფრები.ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ არ შესრულებულა ასოცირების დღის წესრიგის ამოცანა, რომელიც გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად მიმართული იქნება ეკოლოგიურ,სოციალურ, პოლიტიკურ , ეკონომიკურ ,კულტურულ პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მონაწილეობისათვის და ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში.

პროექტით განსაზღვრული კვლევის არეალის მიმოხილვა და მონიტორინგი

COVID-19 პანდემიის პირობებში შესაბამისად შენელდა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ტემპი და ადმინისტრაციული პერსონალი გადაყვანილ იქნა მუშაობის ონლაინ–რეჟიმში. პროექტის განხორციელების დროს შეზღუდული იყო ბენეფიციარებთან და პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის საშუალება. კომუნიკაცია ძირითადად გვქონდა დისტანციურად (სატელეფონო,ელ ფოსტით, სოციალური ქსელებით,ონ ლაინ,ზუმ სამუშაო შეხვედრებით). COVID-19 პანდემიამდე და პანდემიის პირობებში ასოცირების შეთანხმებით აღებული გარემოსდაცვითი და გენდერის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის და კვლევის მიზნით , პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები:

- 10 ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრა ბენეფიციარებთან სოციალური ქსელებით ;
-9 სატელეფონო კომუნიკაცია საკონტაქტო პირებთან რეგიონებში;
- 4 ონლაინ სამუშაო კომუნიკაცია მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ;
-4 ზუმ მიტინგი პროექტის თანააპლიკანტებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი);
- კვლევისათვის შევიმუშავეთ ორი სახის კითხვარი (ვრცელი და მოკლე), რომლებიც გავაგზავნეთ ბენეფიციარებთან და საკონტაქტო პირებთან მუნიციპალიტეტებში .

კითხვარებზე პასუხები მივიღეთ ქობულეთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტე ბიდან . ხოლო, ბათუმისა და ფოთის მუნიციპალიტეტებიდან არ იქნა მიღებული

მოთხოვნილი ინფორმაცია, რის გამოც საჭირო გახდა საკითხთან დაკავშირებული მასალის მოძიება სხვა წყაროებიდან.

პროექტის მიზნების ხელშეწყობის თვალსაზრისით ზემოაღნიშნული აქტივობების გარდა თბილისში მონაწილეობა მივიღეთ სახელმწიფო უწყებების, და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით გამართულ 2 სამუშაო საკონსულტაციო შეხვედრაში: 1)დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილესთან (7აგვისტო ,2020),და 2)წყლის გლობალური პარტნიორობის მხარდაჭერითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაში(31აგვისტო 2020), რომლის ფარგლებშიც გავცვალეთ გამოცდილება, გავაკეთეთ მოხსენებები, მივიღეთ მონაწილეობა დისკუსიებში.

 დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ასოცირების დღის წესრიგის გათვალისწინებით COVID 19 პანდემიამდე ჩატარებული ღონისძიებები და პანდემიის პირობებში მიმდინარე აქტივობების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ, COVID-19 პანდემიის პირობებში სამინისტროში სტატისტიკური მონაცემები არის,მაგრამ გენდერული ანალიზი არ გაკეთებულა, ნაკლებად არის გამოკვლეული, თუ რა გართულებებს იწვევს COVID 19 გამოჯანმრთელებულთა შორის, არ არის დაგეგმილი სპეციალური პროგრამები, რომელიც ემსახურება მოწყვლადი ჯგუფების ,მათ შორის ქალების დახმარებას. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების თვალსაზრისით სამინისტრო გენდერულ ჭრილში და ქალთა საკითხებზე ძირითადად მუშაობს ტრეფიკინგის და ქალთა ოჯახში ძალადობისგან დაცვის საკითხზე (მაგალითად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად მოქმედებს სატელეფონო ცხელი ხაზი 6 ენაზე და სხვა). მიუხედავად იმისა,რომ წყალზე ხელმისაწვდომობა, ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს COVID 19 პანდემიის პირობებში,სამინისტროს მხრივ ნაკლებად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ქალთა წყალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხზე,და სხვა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე, განხილული იყო მდგრადი განვითარების დღის წესრიგის 2030 ,მე-6 მიზნის, წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. 6.5 ამოცანის მიმართ განხორციელებული პროგრესის გასაზომად შემუშავებული ორი ინდიკატორიდან ერთი (6.5.1.), უშუალოდ ზომავს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დანერგვის ხარისხს ,ხოლო ქვეთავი -1ინსტიტუციები და მონაწილეობა: ეხება იმ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუციების სპექტრს და ფუნქციებს, რომლებიც ახორციელებენ IWRM -ის განხორციელების მხარდაჭერას. იგი მოიცავს

ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და ეფექტიანობას, დარგთა შორის კოორდინაციას, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას და გენდერულ თანასწორობას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გენდერული საკითხების ჩართვა წყლის სექტორში, ხელს შეუწყობს რიგ ამოცანებს SDG-ებში, მათ შორის მე-5 მიზნით გათვალისწინებული საკითხების იმპლემენტაციას, რაც გულისხმობს გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალებისა და გოგონების შესაძლებლობების გაძლიერებას[1] , ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნები 2030 მოწოდებას გენდერულ მონაცემებთან დაკავშირებით.[2]

პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში,როგ შემთხვევებში გამოვლინდა წყლის შეზღუდულად მიწოდება(გრაფიკით). ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებები, ძირითადად, ეროვნულ დონეზე ხორციელდება და პროექტით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებს კონკრეტული ვალდებულებები წყლის რესურსების სფეროში არ გააჩნიათ. მაგრამ, უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ხშირად სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ. საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს COVID -19 პანდემიის პერიოდში. **წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების დაუცველობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან, რაც ასოცირების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხია.**

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია – 2014-2020 (დამკტიცებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-IIს დადგენილებით), 23-ე მიზანია ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფა. გაერო–ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა 2002 წლის ნოემბერში მიიღო ე.წ. „ზოგადი შენიშვნა“ N15 წყლის უფლების შესახებ. მასში წყალი განისაზღვრება, როგორც სოციალური და კულტურული სიკეთე, და არა მხოლოდ ეკონომიკური საქონელი. ეს დოკუმენტი დღემდე რჩება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად წყალზე ადამიანის უფლების განმარტების თვალსაზრისით. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, იმის გამო, რომ ადამიანებს შეზღუდული დროით, მხოლოდ დღეში ორჯერ მიუწვდებოდა ხელი ტუალეტსა და სასმელ წყალზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებით აჩვენა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით მან საკუთარი მოქალაქე

[1]მაგ. SDG ამოცანა 5.5 “უზრუნველყოფილ იქნას ქალების სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და თანასწორი შესაძლებლობები ლიდერობასთან მიმართებაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების ყველა დონეზე.“

[2]მაგ. SDG ამოცანა 17.18 “2020 წლისთვის, … გაიზარდოს …ხელმისაწვდომობა …გენდერულად …გამიჯნული მონაცემების, …და სხვა მახასიათებლებისა, რომლებიც რელევანტურია ეროვნულ კონტექსტებში.”

არაადამიანურ და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა და ღირსება შეულახა . (48 /Tadevosyan v Armenia, European Court of Human Rights, Third Section 2 December 2008)

მოცემულ პროექტში განხორციელებული კვლევა გვიჩვენებს,რომ ამჟამად არ არსებობს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სპეციალური სტრატეგია წყლის რესურსების მართვაში მოწყლვადი ჯგუფების,მათ შორის ქალების ჩასართავად. ქალთა მონაწილეობა გათვალისწინებულია საზოგადოებრივი კონსულტაციების წარმოების ზოგადი პოლიტიკით და მონაწილეობის წახალისებისთვის რეალურად ცოტა რამ კეთდება.

1992 წელს დუბლინის კონფერენციამ მიიღო 4 მთავარი პრინციპი. მათ შორის ერთ-ერთი არის შემდეგი: ქალები თამაშობენ ცენტრალურ როლს წყლის რესურსების მართვაში. ეს პრინციპი არის ერთ-ერთი IWRM პროცესში. მდგრადი განვითარების მიზნები 2030 ხაზგასმულია ის, რომ წყალთან დაკავშირებული სამუშაოების ტვირთი უმეტესწილად ქალებსაწევთ[3] ,რამაც განაპირობა ყურადღების გამახვილება ქალების პრაქტიკულ საჭიროებებზე წყალთან მიმართებაში, განსაკუთრებით წყლის ტარებასთან და სახლში მის მართვასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოების,მათ შორის ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დაგეგმილია,რომ WIS-Georgia-ს პორტალზე მოხდება წყალთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მონაცემების უწყვეტი განახლება და დაზუსტება, რათა მოხდეს დროულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის ხელშეწყობა. ამასთან, მნიშვნელოვანია გაძლიერებული ძალისხმევა მიიმართოს ქალებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისადმი,მათ შორის გარემოს დაცვისა და წყლის რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია – 2014-2020 ,23-ე მიზნის ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფა.რომლის ამოცანებია: ა. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბ. გარემოს დაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობისა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; დ. გარემოს დაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

---

[3]მაგ. დუბლინის პრინციპი # 3 (1992): “ქალები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ წყლის მომარაგებაში, მართვაში და გაფრთხილებაში“. “ქალების როლი იშვიათად აისახება ინსტიტუციურ ღონისძიებებში ... წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით. ამ პრინციპის მიღება და განხორციელება მოითხოვს პოზიტიურ პოლიტიკას ქალების სპეციფიური საჭიროებების მოგვარებისთვის და ქალების აღჭურვისა და გაძლიერებისთვის, რათა მონაწილეობა მიიღონ წყლის რესურსების პროგრამებში ყველა დონეზე, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების დონეზე, მათ მიერ განსაზღვრული გზებით.“

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად 2018 წლის 1 იანვარიდან ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, საერთო პროგრესი არათანაბარია.

პროექტში განხორციელებული კვლევა გვიჩვენებს,რომ მუნიციპალიტეტებში უმეტესწილად შეინიშნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა. (იგივე ,აღნიშნულია საქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების შესახებ ანგარიში„რეფორმების დაგეგმვისა და განცხორციელების პროცესში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა“-13 თებერვალი 2019წ.).

ასოცირების შესახებ შეთანხმების მუხლი 306-ში აღნიშნულია, რომ „საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად“. 2020წელს დაგეგმილია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება,რომელიც შემდგომ მხარდაჭერას გაუწევს შესაძლებლობების განმტკიცების ღონისძიებებს IWRM-ის მიმართულებით. **მნიშვნელოვანია, რომ ახალ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს გენდერული საკითხების ჩართვა.**

მოცემული პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ვრცელ კითხვარზე ვერ გვიპასუხეს, ხოლო მოკლე კითხვარზე მუნიციპალიტეტებიდან და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მივიღეთ არასრული პასუხები(ქობულეთი,ზუგდიდი, ბათუმი, ფოთი) . ბენეფიციარების მხრიდან დასმულ კითხვებზე, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმებით აღებულ გარემოსდაცვით ვალდებულებებზე მწირი იყო ცოდნა, ხოლო ქალთა ჩართულობა შემოიფარგლებოდა პერიოდული ღონისძიებებით. გენდერის საკითხებზე მუნიციპალიტეტებში ძირითადად მუშაობენ გენდერის საბჭოები ან „ქალთა ოთახები“(სადაც არის ასეთი).აღნიშნული სტრუქტურები ძირითადად მუშაობას ახორციელებდნენ ქალთა კომპიუტერის შესწავლის,ქალთა ოჯახში ძალადობისგან დაცვის, ქალთა არჩევნებში ჩართულობის ან იშვიათად ქალთა ეკონომიური ხელშეწყობის საკითხებზე. COVID-19 პანდემიის პირობებში შეზღუდული იყო მათი ქალებთან კონტაქტი.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ნაკლებად იყო განხორციელებული ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ,მათ შორის წყლის და ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხებზე პროგრამები. თითქმის არ იყო განხილული ასოცირების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების 2030 ამოცანები, განსაკუთრებით მე-5

ამოცანის შესაბამისად ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში,მათ შორის სოციალურ, ეკონომიურ, ეკოლოგიურ და ჯანმრთელობის დაცვის პროცესებში, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.

მუნიციპალიტეტებს სამწუხაროდ არ აქვთ სამოქმედო გეგემების მონახაზები გარემოსდაცვითი, ენერგიისა და კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებებით და ამ სფეროში გენდერული თანსაწორობის გათვალისწინებით. გამოვლინდა ადგილობრივ ბიუჯეტებში გენდერის საკითხებზე, ასოცირების შეთანხმების ვალდებულებათა შესრულებისათვის ფინანსური რესურსების ნაკლებობა და არასათანადო განაწილება. არ არის გათვალისწინებული კლიმატის ცვლილებების შერბილების ინოვაციურ მიდგომები იმ საწარმოებში სადაც ქალები არიან დასაქმებული.

კვლავ პრობლემად რჩება რეგიონების განსხვავებული საჭიროებების ასახვა და საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავება . ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობა ხორციელდება ფრაგმენტალურად და პერიოდულად, სხვა და სხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვაგვარად. მაგალითად,

-ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭო აღნიშნავს,რომ პერიოდულად ახორციელებს აქტივობას ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ზოგიერთ მოთხოვნებთან დაკავშირებით,რისთვისაც საბჭოს ხელმძღვანელი, იყენებს კავშირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კავკასიის გარემოსადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან პარტნიორობითა (CENN) და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით გენდერულმა საბჭომ განახორციელა პროექტი კონკურსის სახით ,, ეფექტური სლოგანი გარემოს დაცვის თემაზე“ . კონკურსის პირობებით ჟიური შეგდა ქალებისა და მამაკაცების პროპორციული წარმომადგენლობით. აღნიშნავს,რომ ამ პროექტის საშუალებით უზრუნველყვეს გარემოსდაცვის თემის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ქალებისა და მამაკაცების ჩართვა,ხოლო კონკურსის მონაწილეებს შორის ჭარბობდნენ ქალები. გაეროს პროგრამის ,,გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში მოქმედ ,,ფერმერ ქალთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობით განახორციელეს პროექტი : საჯარო სკოლების ჩართვა ეკოლოგიისა და გარემოსდაცვით პროექტებში. ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ბიუროს აჭარის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელეს ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების თაობაზე საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება.

-ზუგდიდის საკრებლოს მიერ აღნიშნულია,რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა ხელშეწყობისთვის,ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა უწყებათაშორის კომისია, რომელიც უზრუნველყოფს არსებული სიტუაციის მონიტორინგს და კოორდინებულ მუშაობას დაინტერესებულ უწყებებს შორის. მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალური პროგრამა - ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეების ფინანსური მხარდაჭერა, ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა

კი 100-დან 800 ლარამდეა. საჭიროების შემთხევაში ძალადობის მსხვერპლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მუნიციპალიტეტში მოქმედი კრიზისული ცენტრით ან ჩაერთონ ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის 53 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა მუშა ჯგუფი ,,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება კოვიდ-19-ით გამოწვეულ კრიზისის პერიოდში'', რომლებიც აღნიშნულ კატეგორიაზე შეაგროვებენ ინფორმაციას და გამოავლენენ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს. მიმდინარე წელს დაიწყო საინფორმაციო კამპანია „ხიდები", რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შეხვედრებს მათი ცნობიერების ამაღლების კუთხით სხვადასხვა აქტუალურ თემებზე (გენდერული საკითხები, ნაადრევი ქორწინება, ძალადობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სკრინინგული პროგრამების მნიშვნელობა და სხვა). COVID-19 გავრცელების გაფართოების პრევენციის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 მარტის N793 ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელიც მუშაობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან მიმდინარეობს 24 საათიანი სატელეფონო მომსახურეობა, სისტემატიურად ხდებოდა მოქალაქეების ინფორმირება სიახლეებზე და გატარებულ ღონისძიებებზე. სპეციალური ხმოვანი სიგნალის საშუალებით, მოსახლეობას აფრთხილებდნენ გაეთვალისწინებინათ საჭირო რეკომენდაციები. აღსანიშნავია,მოხალისეების ჩართულობა. მათი დახმარება სოციალური სამსახურისთვის. დახმარების გაცემა განხორციელდა სამ ეტაპად. საკვები პროდუქტების პაკეტები დარიგდა 60 წელს გადაცილებულ მარტოხელა და მარტო მცხოვრებ ხანდაზმულებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე და მარტოხელა დედებზე, შეზღუდული შესაძლებლობის, მძიმე და ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვებზე, მარჩენალ დაკარგულ პირებზე, სმენა და მხედველობა დაქვეითებულ ადამიანებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე. ჯამში დახმარება გაეწია 1934 ოჯახს. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრმა პანდემიის პერიოდში გამარტივებული შესყიდვის წესით განახორციელა კვების პროდუქტებისგაცემა 4172 აღსაზრდელზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი)პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირად ღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 თებერვლის N13 დადგენილებით განსაზღრულია ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეთა ხელშეწყობის პროგრამები (როგორც ქალებისთვის ასევე მამაკაცებისთვის). ზუგდიდში ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა 25- 70 წლის ასაკის მაღალი რისკის ქონე ქალებისთვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის ხელმომწერი „მერების შეთანხმება კლიმატური ცვლილებებისთვის", რომელიც მიზნათ ისახავს 2030 წლისთვის C2 ემისიის შემცირებას მინიმუმ 30 პროცენტით, ამ მიზნით „მწვანე ბიუჯეტის" ფარგლებში

მოქალაქეობის ჩართულობით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ცალკეული უბნების გამწვანება და ურბანული გარემოს გაუმჯობესება. 2020 წლის ბიუჯეტში აისახა,,მწვანე ბიუჯეტის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს ე.წ. ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის პროექტის ერთგვარ ანალოგიას ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქუჩებსა და უბნებში. პროექტში მონაწილეობისათვის აუცილებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ქუჩებსა და უბნებში შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებით და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 90 პროცენტით. ქალაქ ზუგდიდის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, ასევე გრძელდება წყალარინების სისტემის მოწყობა. ზუგდიდში დასრულებულია წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა. ცალკე ქალთა წყლის და ენერგორესურსებთან ხელმისაწვდომობისთვის პროგრამა არაა.

ბათუმში, ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აქცენტირებული საკითხია ქალთა ეკონომიური ჩართულობის ხელშეწყობა. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შენობაში „ქალთა ოთახი“ მდებარეობს(ა. მელაშვილის #26). აქ ქალებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ კომპიუტერითა და ინტერნეტით, ბიბლიოთეკით, საბავშვო კუთხით და მიიღონ კონსულტაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იდეა ბიზნესად აქციონ. „ქალთა ოთახი“ ბათუმში პროექტის ორგანიზატორები არიან აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მასთან არსებული აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაცია და „მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამა“. „ქალთა ოთახი“დაგეგმილია აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში,რათა აჭარის რეგონში მცხოვრებ ქალებს შეუწყონ ხელი ბიზნესის დაწყებაში, გადამზადებაში,ქონდეთ საშუალება თავიანთი იდეების შესახებ ბიზნეს გეგმა შეადგინონ. (პროგრამას შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“ ახორციელებს). მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ ხეობაში დაგეგმილია გაიხსნას კომპიუტერული კლასი, სადაც ქალებს შეეძლებათ ინტერნეტის მოხმარება. სამწუხაროდ, „ქალთა ოთახებში“ COVID 19 პანდემიის პერიოდში ქალების მონაწილეობა შეზღუდულია.

გენდერულ საკითხთან მიმართებით საინტერესოა განვიხილოთ განხორციელებული ფართომასშტაბიანი კვლევები. 2020წელს , გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და სახალხო დამცველის აპარატმა ადგილობრივითვი თმმართველობების გენდერული თანასწორობის პოლიტიკა სპეციალური კვლევით შეისწავლეს („ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკა და გამოწვევები“). კვლევის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობებში

ნაკლებად პრიორტეტულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ, ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობასა და საკუთარი უნარების გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები. (http://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf)

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ განახორციელა კვლევა ,სადაც ციფრულ ტექნოლოგიებზე ქალების წვდომა შეაფასა. კვლევა გვიჩვენებს, ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომაში ქალებს ხელს გენდერული სტერეოტიპები უშლით ხელს. საქართველოში ქალები სახლის საქმეებსა და ოჯახის წევრებზე ზრუნვას კვირაში 45 საათს უთმობენ, კაცები კი - 15 საათს,და ქალებს სხვა აქტივობებისა და სწავლისთვის დრო ნაკლებად რჩებათ. https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/05/digital-technology-can-empower-women . COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს,განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები იმ ქალებისთვის, რომლებსაც ფორმალურ სამსახურზე, განათლებაზე, ჯანმრთელობასა და სხვა სერვისებზე ხელი შეზღუდულად მიუწვდებათ.

პროექტში მოძიებული მასალის მონიტორინგის ,ანალიზისა და კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

შედეგები და დასკვნები

მნიშვნელოვანია:

1) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და გარემოსდაცვის საკითხებზე სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი დონის /გენდერული ასპექტების დამატება და გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
2) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე, გენდერისა და გარემოსდაცვის საკითხებზე ინფორმირებულების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება ,როგორც მუნიციპალიტეტის სპეციალისტებს შორის,ასევე სამოქალაქო საზოგადოებას შორის .
3) გარემოს დაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობისა და ამ პროცესში საზოგადოების ,მათ შორის ქალთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასოცირების დღის წესრიგისა და გარემოსდაცვის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებისთვის, ასევე გამოყენებული იყოს ღია მმართველობის სტრატეგიები და ტექნოლოგიები, ისეთ სამთავრობო სერვისებზე, რომლებიც ქალებისთვის არის განკუთვნილი.

4) მუნიციპალიტეტებში შემუშავდეს სპეციალური სამოქმედო გეგმა ,რომელიც გაითვალისწინებს გენდერული თანასწორობას და ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ყველა დონეზე.
5) **გენდერული ნიშნის მიხედვით დასახული მიზნების ასახვა წყლის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სტრატეგიებში, გეგმებში და კანონში. შემუშავდეს სპეციალური სტრატეგია წყლის და ენერგო რესურსების მართვაში მოწყვლადი ჯგუფების,მათ შორის ქალების ჩასართავად.**
6) გავითვალისწინოთ საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გენდერულ პრობლემებზე იმ ორგანოებში, რომლებიც განაგებს ეკოლოგიურ საკითხებს,ენერგო და წყლის რესურსებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. რომელიც ასევე,ხელს შეუწყობს წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობას და ამ პროცესში საზოგადოების, მათ შორის ქალთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
7) განხორციელდეს კლიმატის ცვლილებების შერბილების ინოვაციურ მიდგომები იმ საწარმოებში სადაც ქალები არიან დასაქმებული.
8) მუნიციპალიტეტებში ,,ქალთა ოთახებში ,, განხორციელდეს ქალების საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა პროგრამები,გაუმჯობესდეს ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, აქცენტირებული ქალთა ლიდერობაზე და მონაწილეობის გაზრდაზე გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგზე ინფორმაციის გაზრდაზე, წყლის და ენერგო რესურსების მართვაზე, ეკოლოგიურ პრობლემებზე, ეკონომიურ გაძლიერებაზე , ციფრული ტექნოლოგიების წვდომაზე ,გამოყენებაზე და უნარ ჩვევების გაუმჯობესებაზე, უფლებების და ჯანმრთელობის დაცვაზე ყურადღების გამახვილებით, რაც COVID-19-ზე რეაგირებას გააძლიერებს.
9) დაიგეგმოს და განხორციელდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნები 2030 საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში გარემოს დაცვაზე და გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისათვის.

რეკომენდაციები

მიზანშეწონილია:

1.დაიგეგმოს და განხორციელდეს წყლის რესურსების მართვის საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში გარემოს დაცვაზე და გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისათვის,რათა შემუშავდეს და დაინერგოს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც წყლისა და სანიტარული სერვისების უზრუნველყოფაში ქალთა ჩართულობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს,განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალების.

ასევე, ხელს შეუწყობს წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციას .

2.დაიგეგმოს და განხორციელდეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნები 2030 საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში გარემოს დაცვაზე და გენდერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისათვის,რათა განახორციელონ ქალთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში.

3.განვითარდეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი ადგილობრივი ქალების ჯგუფების/ ორგანიზაციების პლატფორმა, რომელიც განიხილავს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის პროექტებს , საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გენდერულად დაყოფილი მონაცემების შეგროვებას და გათვალისწინებას.

4. ზუგდიდის,ბათუმის,ქობულეთის,ფოთის,მუნიციპალიტეტების და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასთან თანამშრომლობით სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდეს ფართომასშტაბიანი კვლევა , როგორ იცვლება ქალებისა და გოგონების ცხოვრება COVID-19-ის შედეგად. მუნიციპალიტეტებში დაიგეგმოს გენდერული ბიუჯეტი ამ ცვლილებების გათვალისწინებით და განვითარდეს შესაბამისი პროგრამები.

5.განვავითაროთ სამოქალაქო მონიტორინგის ონლაინ პლატფორმა შექმნილი გენდერის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლობით,რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაციის უფრო მდგრადი თანამშრომლობის ჩარჩოები და მონაცემთა უფრო სისტემატიური მიმოცვლა,რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განმტკიცებას.

ნაშრომში გამოყენებული წყაროები-ლიტერატურა

-საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020 (eeas.europa.eu)

-„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი (2014წ.) კარი VI: თანამშრომლობისსხვასფეროები (თავი 3: გარემოსდაცვა, თავი 4: კლიმატთანდაკავშირებულიქმედებები)http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf

-ანგარიშისაქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების შესახებ,13 თებ, 2019.

-2018 წლის ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის მიხედვითკვლევა(EPI – Environmental Performance Index).

-გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ (ღია მმართველობის პარტნიორობის გზამკვლევის სპეციალური გამოშვება).
-ადამიანის უფლება წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე (საერთაშორისო სტანდარტის, საქართველოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი- დოქ. მაკა ნუცუბიძე ,თბილისი, 2018 წელი).
-ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება - პირველი წლის შეფასება, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო.
-მდგრადი განვითარების 2030 მე-6 მიზნის, 6.5.1 ინდიკატორის საკონსულტაციო კვლევის პროექტი, თბილისი, 2020.
-წყლის რესურსების მართვა ,ქვეყნის სტატუსის საინფორმაციო ბუკლეტი iwrmdataportal.unepdhi.org
-პოლიტიკური დოკუმენტების, კანონებისა და გეგმების მოწინავე პრაქტიკის მაგალითები (იხ. კონკრეტული შემთხვევების განხილვა ;იხ. „ხელშემწყობი გარემო“), წყლის გლობალური პარტნიორობის (GWP) IWRM ToolBox).

დუბლინის პრინციპი # 3 (1992): “ქალები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ წყლის მომარაგებაში, მართვაში და გაფრთხილებაში“.

-SDG ამოცანა 17.18 “2020 წლისთვის“.

-ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულის ტრატეგია – 2014-2020.

-ადამიანის უფლება წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე (საერთაშორისო სტანდარტის, საქართველოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი/(hridc.org).

-48 /Tadevosyan v Armenia, European Court of Human Rights, Third Section 2 December 2008 .
-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკა და გამოწვევები, 2020 წელი.
-კვლევა, „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“,პრეზენტაცია,28 მაისი,2020
-გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა ციფრულ ტექნოლოგიებზე ქალების წვდომა https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/05/digital-technology-can-empower-women

-წყარო: ადაპტირებული ბმულიდან: UNESCO WWAP Toolkit on Sex-disaggregated Water Data, 2019